ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 58 (19799) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1987 ᲬᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

კრიტიკა პრესაში

რამდენად არის იგი დასაბუთებული და რა რეაგირებას ახდენენ მასზე

სოციალისტური დემოკრატიის ნაცადი ინსტრუმენტი, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, არის კრიტიკა და თვითკრიტიკა. კრიტიკა გვეხმარება უკეთ ვიმუშაოთ და ვიცხოვროთ. იგი გვეხმარება სრულყოფილ საქმეგამოვლენილთ და გამოვიყენოთ რეზერვები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მსარი დაუჭირა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეცადინეობას ჩვენს საზოგადოებაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის, პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ აღებულმა საჯაროობის გაფართოების კურსმა მნიშვნელოვნად გააქტიურა ეფექტიანი მუშაობა, მათი მეცადინეობა მოწინავე გამოცდილების პრომაგანდირებისაკენ, ნეგატიური მოვლენების ყოველმხრივი ანალიზისაკენ. დღეს არ გამოდის გაზეთისა და ჟურნალის პრაქტიკულად არც ერთი ნომერი, რომ არ შეიცავდეს კრიტიკულ მასალებს. კრიტიკა ალარ არის დეფიციტური ფენომენი ტელევიზიის საუბრებსა და რადიოგადაცემებში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, როგორც წესი, ყველაზე ძირითად, საჭირბოროტო პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ეკონომიკის, სოციალური სფეროს წარმატებული განვითარება, კომუნისტური აღზრდის ეფექტიანობა.

რა საკითხებზეა განსაკუთრებით საჭირო დღეს ჩვენი პრესის კრიტიკული გამოსვლები? ეს არის, უწინარეს ყოვლისა, პარტიული და სამეურნეო მუშაობის ნელი გარდაქმნა, რაც მთელ რიგ ადგილებში შეინიშნება. ეს არის არასაკმარისი ზრუნვა ადამიანთა, მათი შრომისა და ყოფის პირობებისათვის, ეს არის ჩვენი მორალის ნორმების, სოციალისტური დემოკრატიისა და დისციპლინის დარღვევა. მახვილ თვალს საჭიროებს წესის დეგენერაცია და კანდიდატობების შესრულებისადმი კონტროლი.

თემის აქტუალურობა კრიტიკის ქმედითობის მნიშვნელოვანი პირობაა. მაგრამ, არ თქმა უნდა, არა ერთადერთი. დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ მოთხოვნებსაც, როგორიც არის ალალმართლობა, დაბალთუნება. კრიტიკა ყოველი ტრიბუნიდან, პრესაში კი განსაკუთრებით — ეს არის უაღრესად პასუხსაგები საქმე. აქ დაუშვებელია ბიბარად და მიახლოებთად წერა, უფქტების თაღლითურად დახატვა. და ხანამდვილისაგან სხვა გადახვევები. არ უნდა ვეტანებოდეთ ხენსაციებს, „ცხელ-ცხელი უფქტების“ ძიებას. ხიზუტე, ცხოვრების შესახამობა — ჩვენი ჟურნალისტიკის ურყევი ლენინური წესებია.

კრიტიკა — ეს არის ხიგნალი უკეთურობის შესახებ, რომელიც მოითხოვს შესახამისი ღონისძიებების განხორციელებას. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია საკითხი: რა მომყვება ასეთ ხიგნალს? რა რეაქციას მოახდენენ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები?

პრესის კრიტიკულ გამოსვლაზე ყველაზე უტყუარი პასუხია კონკრეტული საქმე, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის რეალური მეცადინეობა. მაგალითად, ბელორუსიის რესპუბლიკური გაზეთები რეგულარულად ანალიზებენ პარტიული კომიტეტების მუშაობას. ამ ბოლო დროს მათს ფურცლებზე იბეჭდება საფუძვლიანი მასალები გარდაქმნის მიმდინარეობის, მისი პირველი გამოცდილების, ზოგიერთი რაიონის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. ამ გამოსვლებს პრინციპულად დაუჭირა მხარი ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. განხორციელებულმა ღონისძიებებმა შესამჩნევად გააუმჯობესა საქმის ვითარება.

მაგრამ, პირდაპირ ვთქვათ, ყველგან ასე როდი ხდება, ჯერ კიდევ ხშირად კრიტიკა მიაჩნიათ არა საქმის შემწედ, არამედ მხოლოდ რაღაც გამაღიზიანებელ უფქტად, რომელიც გუნება-განწყობილებას აფუჭებს, დღესაც კი, როცა საოქმელი ბოლოდგა ითქვა.

პარტიული კომიტეტების ერთ-ერთი მუდმივი საზრუნავი ის არის, რომ უზრუნველყონ ადგილობრივი პრესის სიტყვის დიდი შედეგიანობა. სწორად აქცენტია აქ, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან კრიტიკულ გამოსვლებს კონტროლს უწესებენ საოლქო, საქალაქო ან რაიონულ კომიტეტში, თვალყურს ადევნებენ, რა ღონისძიებანი ხორციელდება, წესრიგისათვის მოუწოდებენ ამათ, ვინც საქმეან რეაგირებას არ ახდენს კრიტიკაზე. ყოველივე ეს აძლიერებს პრესის ავტორიტეტს და აღგვიძრავს საკრავლ ყურადღებით, პატივისცემით მოვეკიდოთ მის მასალებს.

რა თქმა უნდა, პრესაში კრიტიკის დონე პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის დაყენებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის საქმე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიულ კომიტეტებსა და ბიუროებში.

ხოლო თუ პარტიული კომიტეტი გულგრილია ამისადმი, როგორ მოქმედებს კრიტიკა? თუ იგი არ მოამკითხავს ბიუროკრატებს, ფორმალისტებს, „წრილობით პასუხის გაცემის“ მოყვარულებს? ამის გამო მნიშვნელოვანი და ეტაპალური გამოსვლა არარად იქცევა. სიტყვა ფაქტობრივად უფასურდება. და ადამიანები თანდათან ეჩვეოდნენ, რომ სრულიადაც არ არის საჯაროებული სიტყვის საქმე მოსვეს.

დიახ, პრესის კრიტიკული ხმა და მისი ქმედითობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რა პირობები შეუქმნა მას ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ. მაგრამ თვით ეფექტიანი ნებაყოფლობითი თანაშემწეობის — მუშაკორესპონდენტების არმიის. რაც უფრო ფართოა რედაქციის აქტივი, მით უფრო დიდია მისი ძალა. რედაქციებს, საგუშაგოები, მასობრივი მუშაობის სხვა ნაცადი ფორმები საგრძნობ შედეგებს გვაძლევს. უფრო ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ სარედაქციო ფოსტას, უფრო ხშირად გამოვიტანოთ იგი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, გავაშუქოთ რადიოსა და ტელევიზიის გამოშვებანი.

პარტიას პრესა მიაჩნია გარდაქმნის აქტიურ მოსაწილედ. ჩვენში არ უნდა იყოს და არც შეიძლება იყოს კრიტიკისათვის დახურული ზონები, არ უნდა იყვნენ მისგან დაცული პირები — დიე, უფროს მეტი ძალით გაიხმოდეს საქმიანი და პრინციპული კრიტიკული სიტყვა, ამოძირკვავდეს ყოველგვარ დაბრკოლებებს ჩვენს გზაზე, ამასთან ხელს უწყობდეს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

ᲐᲠᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
9 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘᲡ ᲨᲔᲬᲠᲒᲘᲜ

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠᲠ.). კარგად დათბუნებული ბოსლები, საკმაო უხვში და ფენიანი საკვები, პირუტყვის უკეთესი მოვლა-პატრონობა — აი, რა არის ახლა დამახასიათებელი თერჯოლის რაიონის მეცხოველეთა ფერმებისათვის, ამის წყალობით შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით იანვარში 40 ცენტნერით მეტი რძე მიეყიდა სახელმწიფოს. ამ საქმეში წარმატებები აქვთ სოფელ გოდოგანის, საზანოს, „წითელი ოქტომბრის“ ძეგრის, ალისუბნის კოლმეურნეობებს, რუფოთის, ქოგნარის საბჭოთა მეურნეობებს, რომელთა კოლექტივები ჩაბმული არიან ოქტომბრის სოციალისტური რეგოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავ მეჯიბრეობაში.

ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲔᲚᲗᲐ ᲖᲠᲐᲒᲔᲑᲨᲘ

ᲕᲐᲜᲘ. (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠᲠ.). სოფელ სალხინოს კოლმეურნეობის მევენახეები ამთავითვე უყრიან მყარ საფუძველს მიმდინარე წლის ბარაქიან მოსავალს.

მევენახეებმა მინერალური და ბუნებრივი სასუქები შეიტანეს 20 ჰექტარ ფართობზე, 10 ჰექტარზე მეტი ვაზი უკვე გასხლულია. მიმდინარეობს მეჩხერიანი ნაკვეთების აღდგენა. ვენახის საზამთროსაგაზაფხულო სამუშაოებში დაწინაურდნენ აპოლონ ხარძეიშვილის ბრიგადის მევენახეები, მათ შორის არიან მ. კოკუტაძე, ე. ორმოცაძე, ნ. ხუციძე, ო. ბაგნიძე და სხვები, რომლებიც ყოველდღიურ ნორმებს წარმატებით ასრულებენ.

ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲡ ᲗᲔᲡᲐᲕᲔᲜ

მარნეული (ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠᲠ.). რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში შარშანდელთან შედარებით თითქმის სამი კვირით ადრე დაიწყო საადრეო კარტოფილის თესვა. პირველებმა გაიყვანეს მინდვრად ი.ავეანთი აგრეგატები „საბჭოთა კონსტიტუციის“ სახელობის საბჭოთა მეურნეობის შექანიზატორებმა სიიად ატაევმა და ბაჯიანელ დუშდურავამ, რომლებიც ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე დგანან და დღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ასრულებენ. დაწინაურდა აგრეთვე ფაშა სულეიმანოვის იჯარული ბრიგადა, რომელმაც საადრეო კარტოფილი უკვე 60 ჰექტარზე დათესა. მეურნეობის კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა კარტოფილის თესვა ვადაზე ადრე დაამთავროს.

მარნეულელმა მეკარტოფილეებმა მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი სასანელო მაჩვენებლებით გააცილეს. დაამზადეს 37 ათასი ტონა კარტოფილი — ათი ათასი ტონით მეტი წინა წელთან შედარებით. დიდი გადამეტებით შეასრულეს აგრეთვე საკავშირო ფონდში კარტოფილის გაგზავნის დავალება.

—წელს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში საადრეო კარტოფილი დაითესება 2.780 ჰექტარზე, ნათესებს საუკეთესოდ მოვუვლით, გეგმით გათვალისწინებული 31 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივიყიდით 33 ათას ტონა „მეორე პურს“, აქედან საკავშირო ფონდში გავგზავნით 18 ათას ტონა კარტოფილს, ღირსეული ნობათით შეეგებებით ოქტომბრის 70 წლისთავის დიად დღესასწაულს, — თქვა პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა ქამილ მამედოვმა.

ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲨᲘ ᲓᲝᲚᲘᲐ

ᲓᲝᲚᲘᲐ შირაქის ზამთრის საძოვრებზე, სადაც ახლა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის ფარები ჰყავთ.

მეურნეობები კარგად მოემზადნენ ამ მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის. ფერმაში დამატებით გაგზავნეს მუშაკები, საკმარისი აქვთ საკვები, აშენდა საკვები საამქროები.

მოწინავე ბრიგადებმა გააჩაღეს შეჯიბრება ყოველ ას ნერგზე გამით გათვალისწინებული 84-ის ნაცვლად 95-100 ბატკნის შენარჩუნებისათვის. დოლი გაჩაღდა აგრეთვე სოფლების ჯაფარიძის, მარზაანის, არბოშაკის, ოზაანის კოლმეურნეობათა ფერმებში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲠᲫᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲠᲫᲘᲡ ნაწარმს კიდევ ერთი ახალი პროდუქცია — საწარმოო გაერთიანება „თბილისრძემ“ სავაჭრო ქსელს გაუგზავნა ახალი ნაწარმი — მუყაოს კოლოფებში დაფასოებული შემავსებლიანი კეფირი.

ამით საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტმა თერთმეტ დასახელებას მიაღწია. თუ ახალი სახეობის ნაწარმი მომხმარებელს მოეწონება, გაერთიანება მზად არის მთლიანად დააკმაყოფილოს ამ საქონელზე მაღაზიების განაცხადები.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲘ

ᲛᲐᲚᲮᲐᲖᲘᲡ ᲥᲐᲩᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში გაგრძელა სწავლა. 1982 წელს მებაღე-მევენახე აგრონომის დიპლომით დაბრუნდა გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. შრომისმოყვარე ახალგაზრდა კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და მალე მოწინავე გახდა.

როგორც მეურნეობის დირექტორმა ი. ნიბლაძემ გვითხრა, მალხაზის ბრიგადაში 25 ახალგაზრდა გაერთიანებული. ავდრის მიუხედავად შარშან მან 10 ჰექტარზე 50 ტონის ნაცვლად 67 ტონა ყურძენი მიიღეს.

ბუკეთი შრომით დაიწყეს მიმდინარე წელი. თავდადებული გარჯის მაგალითს უწევენებს ბრიგადირი მ. ქაჩლიშვილი თავისი ბრიგადის წევრებს. ყოველდღიური დავალებები ნორმის დიდი გადაჭარბებით სრულდება. ამ დღეებში ბრიგადამ მთლიანად დაამთავრა სხვა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ემზადება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ: მ. ქაჩლიშვილი ვაზის სხვლისას.
Მ. ᲒᲔᲠᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲕᲘᲗᲕᲘᲡᲝᲗ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲑᲘ

ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲝᲠᲪᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲛᲔᲝᲠᲔ ცვლა მუშაობას ღამის 2 საათზე ამთავრებს. ამ დროს კი საქალაქო ტრანსპორტი უკვე აღარ მუშაობს და თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების 273 მუშის შინ დაბრუნება არც თუ იოლია. მართალია, გაერთიანების მეთაურ ქარხანას ჰყავს საკუთარი ავტობუსი, მაგრამ მან რომ ღამის ორ საათზე მუშების რიგრიგობით გადაყვანა დაიწყოს, მათი ბოლო ჯგუფი, ალბათ, შინ გათენებისას მიაღწევს. მუშა-მოსამსახურეები ხომ ქალაქის სხვადასხვა რაიონში ცხოვრობენ.

ახლა, როცა 2178 მუშიდან მეორე ცვლაში მხოლოდ 273-ია დასაქმებული, ეს საკითხი ჯერ მთელი სიმწვავით არ წამოჭრილა, მაგრამ უახლოეს მომავალში კიდევ 400-ზე მეტი კაცი გადავა მეორე ცვლაში და მაშინ უკვე პრობლემას ველარსად გაექცევი.

ამგვარი და კიდევ სხვა არანაკლებმნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა უძღვის წინ გაერთიანების სრულ ორცვლიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლას. არადა, ორცვლიანი მუშაობის რეჟიმი გაერთიანებას ჰაერივით სჭირდება. ასე მიაჩნიათ ტექნოლოგებს და აი რატომ:

დანადგარების 52 პროცენტს აქ 20 წელზე მეტია ექსპლოატაციას უწევენ და მათი საბალანსო ღირებულება დღეისათვის ნულს გაუტოლდა. ისინი ჩამოსაწერია, მოძველდნენ ფიზიკურად და მით უმეტეს მორალურად.

შარშან, სამინისტროს დავალებით, გაერთიანებაში უნდა ჩამოეწერათ 228 მოწყობილობა, მაგრამ ჩამოწერეს მხოლოდ 76. ეს მოხდა იმიტომ, რომ არ ჰქონდათ ტექნიკის შესაძენი თანხები. წლეულს უნდა ჩამოიწეროს 148 ჩარხი და მათ ნაცვლად დაიდგას მხოლოდ 53, რაც ცხადია, სრულიადაც არ არის საკმარისი.

აქედან კი გასაგები ხდება, თუ რაოდენ აუცილებელია საწარმოსათვის სრულ ორცვლიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლა. ეს კი არც იოლია. რასაკვირველია, ტექნოლოგიური მომზადება განსაკუთრებულ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ თავს იჩენს სხვა რთული პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას და რაც შეიძლება მალე. საამისოდ ქარხნის ადმინისტრაციას დიდი მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება მოუწევს. სრულ ორცვლიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლის მთელი სირთულე, როგორც შრომისა და ხელფასის განაყოფიერებაში მიაჩნიათ, მატერიალურ ანაზღაურებას ეყრდნობა. დღეს საწარმოში მუშა 8 საათის ნაცვლად 10-12 საათს შრომობს და თვეში ოთხას-ხუთას მანეთს იღებს. შემდგომისათვის პირველი ცვლა დღის ხუთის ნახევარზე წავა დასასვენებლად. ცხადია, ალარ იქნება განუკითხობა. 12 საათს რომ კაცი იმუშავებს, აბა რა ხარისხიან პროდუქციას გამოუშვებს იგი!

მაშ წაადგებს მატერიალურად ის კაცი, რომელიც 10-12 საათს მუშაობდა? არ წაადგებს. დიახ, არ წაადგებს, თუ თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად შეასრულებს. ჯერ ერთი, მას ხელფასი ემატება (20-25 პროცენტით), მეორეც — ძალაში შედის სტიმულირების ახალი ფორმები. სწორედ პირველ ცვლაში უნდა გამოთავისუფლდეს ის 400 კაცი, რომლებიც მეორე ცვლაში იმუშავებენ.

აი ახლაა საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერება. ზოგს, ცხადია, საქმიანობის ახალი წესი ალარ მოეწონება, პირველ ხანებში შეიძლება ალარ ჰქონდეს ისეთი დიდი ანაზღაურება, როგორც ადრე. საჭიროა ყველას გავაგებინოთ, რომ ასე მუდამ არ გაგრძელდებოდა, შრომის ნორმირებაში ბოლოს და ბოლოს წესრიგი უნდა დამყარებულიყო. სამეურნეო ანგარიში, პროდუქციის სახელმწიფო მიღება, ახლებური მუშაობის სხვა ფორმები და მეთოდები თვითფინანსებისა და თვითნებობის პირობებში ვერ იარსებებს, დაჰკარგავს მნიშვნელობას.

სამაგიეროდ ᲛᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ახალი პირობები უზრუნველყოფს სამართლიანობას, შრომის ობიექტურ განაწილებასაც და ანაზღაურებასაც. საწარმოში ახლა მუშავდება დებულება, რომელიც ითვალისწინებს მრავალმხრივ მატერიალურ სტიმულირებას საერთოდ და, კერძოდ, კვალიფიციური შრომისათვის შემოიღებენ შეღავათებს მეორე ცვლაში მომუშავეებისათვის.

ახლა მთავარია გაერთიანების ადმინისტრაციამ მთელი სერიოზულობით, ღრმად, კომპეტენტურობით განიხილოს და მოაგვაროს სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებული პრობლემები, ყველაფერი იღონოს კადრების, მით უმეტეს კვალიფიციური მუშების შენარჩუნებისათვის.

დღეისათვის გაერთიანებაში 1238 დანადგარიდან პირველ ცვლაში დატვირთულია ყველა, მეორეში — 241, ცვლაობის კოეფიციენტი 1,2 შეადგენს, წლის დამლევისათვის ეს მაჩვენებელი 1,35-მდე, ხოლო ხუთწლედის ბოლოსათვის — 1,58-მდე უნდა გაიზარდოს. რაც შეეხება დიდმწარმოებლურ ჩარხებს, მათი ცვლაობის კოეფიციენტი წლის დამლევისათვის 1,68-ს მიაღწევს და 1990 წლისათვის 1,92-მდე გადიდდება.

სრულ ორცვლიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლა ხელს შეუწყობს გაერთიანების ქრონიკული ჩამორჩენის დაძლევას და იმედია მის კოლექტივს მოწინავეთა რიგებში ჩააყენებს.

ნ. ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ

ᲑᲣᲚᲘᲒᲣᲚᲘᲡ შახტებში უფრო ფართოდ ინერგება ახალი სამმუშაო სამთო მექანიზმები. ლენინის სახელობის შახტის მიწისქვეშეთში უკვე დამკვიდრდა დისტანციური სიგნალიზაცია, შახტის დისპეტჩერს ჯიხურიდან შეუძლია თვალყური ადევნოს საკვებტილაციო დანადგარების და მექანიზმების ნორმალურ მუშაობას. აქ მეშახტეთა უსაფრთხო შრომის სამსახურში ჩადგა აპარატურა, რომელიც გვირაბში გაზის მომატების შემთხვევაში გამორთავს ელექტროენერგიას და აჩერებს სამთო სამუშაოთა მთელ პროცესს. ეს მათ თავიდან აიცილებს მოსალოდნელ საფრთხეს.

ორჯონიკიძის სახელობის შახტაში დაინერგა აღმავალი გვირაბების გამყვანი დიდი დიამეტრის საბურღი მექანიზმი, რომელიც აჩქარებს გამკვეთი გვირაბის გაბურღას, გარდა ამისა, უზრუნველყოფს მეშახტის მუშაობის დიდ სიღრმეზე, ასევე შახტის ქვანახშირის მამდიდრებელ ფაბრიკაში შარშან განხორციელდა დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ძველი დამლეკი მექანიზმები შეიცვალა უფრო დიდმწარმოებლური, ახალი დანადგარებით, რამაც დააჩქარა ენერგეტიკული კონცენტრატის გამოშვება.

ქვანახშირის ფენების მექანიზებული კომპლექსით დამუშავება ახალი არ არის, მაგრამ ტყიბულის გეოლოგიურ პირობებში მისი გამოყენება თითქმის შეუძლებელი იყო. ამ ტექნიკური სიახლის ათვისებაში თავისი სიტყვა თქვა ი. მინდელის სახელობის შახტის კოლექტივმა. აქ შექმნეს ექსპერიმენტული საექსპლოატაციო უბანი, სადაც გამოსცადეს დონეკიდან ჩამოტანილი ომინგრავი კომპლექსი, ხანგრძლივმა ძიებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ქვანახშირის ლავის მექანიზებული კომპლექსით დამუშავების ცდა წარმატებით დაგვირგვინდა. შარშან ამ სიახლის გამოყენებით აქ 67 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღეს. კომპლექსის მემანქანეს, ნოვატორ მეშახტეს გ. გაპრელიანს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა. აღნიშნულ შახტში დიდი საქმე იყო მეორე სიახლის დანერგვაც. ღრმა პორიზონტზე ამოქმედდა სამთო დანადგართა კომპლექსი. ეგრეთ წოდებული სასკიპე ჭაური, რომელმაც შეამცირა მონგრეული ქვანახშირის ტრანსპორტირების გრძელი გზა, დაჩქარდა საშახტო ვაგონების ბრუნვა, რამაც საწარმოს დიდძალი მოგება მისცა, სხვა ბევრი ტექნიკური სიახლეც დაინერგება წელიწადს. ლენინის სახელობის შახტში უკვე მიიღეს ქვანახშირის მომგრეველი ახალი მექანიზებული კომპლექსი, შახტის განვითარების გეგმით იგი მესამე სამთო ჰორიზონტის მეორე საექსპლოატაციო უბანში დაინერგება. გვირაბგამყვანთა ორმა ბრიგადამ უკვე დაიწყო საეციალური სამთო გვირაბის გაყვანა. მიწის ზედაპირიდან კომპლექსი ამ გვირაბში გადაინაცვლებს. იგი სამრეწველო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ქვანახშირის საუკუნოვან ფენებს შეერკინება. ასევეიგე კომპლექსი დაინერგება აგრეთვე ორჯონიკიძის სახელობის შახტში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვანახშირის მექანიზებულ ამოღებას, გაადვილებს მის ხარისხს, ამასთან მნიშვნელოვნად გაიაფებს მოპოვებული პროდუქციის თვითღირებულებას. რაც მთავარია, ეს მექანიზმები თავის მხრებზე გადაიტანენ იმ მძიმე სამუშაოებს, რომლებსაც პრიმიტიული იარაღებით ასრულებენ.

Გ. ᲪᲘᲠᲘᲙᲘᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠᲠ.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ ᲨᲐᲮᲢᲔᲑᲨᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐᲨᲘᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ XXXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ 1465 დელეგატიდან თითოეულს შესაძლებლობა ჰქონდა გამოსულიყო. მიკროფონები მარტო ტრიბუნებზე კი არა, დარბაზშიც იდგა, რომელიც გულისხმიერად რეაგირებდა ყოველ სიტყვაზე. უუმსჯელესობის ყოველგვარ ცდას მაშინვე აღკვეთდნენ. საგანგებოდ მხურვალედ უკერძოდნენ მხარს იმათ, ვინც მომთხოვნელად აანალიზებდა, თუ როგორ ცხოვრობდა გუშინ, რით ცხოვრობს დღეს, რა ამოცანებს განსაზღვრავს სამომავლოდ.

ეს იყო ნამდვილად კოლექტიური სჯა-ბაასი, რომელშიც მწვავედ დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი პოზიცია — საქმის დეკლარაცია და საქმის სამსახური. ყოველი გამოსვლა გამსჭვალული იყო პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის სულისკვეთებით, რომელმაც დააკონკრეტა პარტიისა და ხალხის პოლიტიკური საქმიანობის მთელი ფრონტი გარდაქმნის ამოცანები, ზუსტად განსაზღვრა კომკავშირის, ახალგაზრდობის როლი და ადგილი რევოლუციურ გარდაქმნათა განხორციელებაში.

ᲕᲖᲐᲠᲓᲚᲝᲗ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ პიროვნების აყვავების დროა, როცა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ადამიანის ფაქტორი, აზრის გამბედაობა, ენთუზიაზმი, დიდი დინამიზმი. ეს შესანიშნავი ხანაა, როცა ადამიანი ვერ ეგუება უძრაობას, ჩამორჩენილობას, უსამართლობას, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენმა ლენინურმა პარტიამ გადამწყვეტი და შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღა პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ. ამიტომაც ჩვენმა კომკავშირმა, მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ თავის ღვიძლ საქმედ აღიქვეს გარდაქმნა. იგი მთლიანად ეხმიანება მის საუკეთესო აზრებს, სულისკვეთებასა და მისწრაფებებს.

გარდაქმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული შემკვიდრეობითობასთან — პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე. დღეს თაობათა ცვლას თან ხდევს მრავალი სოციალურ-ფსიქოლოგიური ორიენტირის, მართვისა და მეურნეობრიობის მექანიზმის შეცვლა. არ არის მზამზრეული რეცეპტები, არ არის უდავო გადაწყვეტილებანი. და განსაკირი არ არის, რომ ბევრი გამოცდილი კადრი ზოგჯერ ახალგაზრდობასთან თანაბარ პირობებში აღმოჩნდება ხოლმე. ლენინის დირექტივებს პრესის ავტორიტეტს და აღგვიძრავს საკრავლ ყურადღებით, პატივისცემით მოვეკიდოთ მის მასალებს.

რა თქმა უნდა, პრესაში კრიტიკის დონე პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის დაყენებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის საქმე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიულ კომიტეტებსა და ბიუროებში.

ხოლო თუ პარტიული კომიტეტი გულგრილია ამისადმი, როგორ მოქმედებს კრიტიკა? თუ იგი არ მოამკითხავს ბიუროკრატებს, ფორმალისტებს, „წრილობით პასუხის გაცემის“ მოყვარულებს? ამის გამო მნიშვნელოვანი და ეტაპალური გამოსვლა არარად იქცევა. სიტყვა ოქტომბრიდან უფასურდება. და ადამიანები თანდათან ეჩვეოდნენ, რომ სრულიადაც არ არის საჯაროებული სიტყვის საქმე მოსვეს.

დიახ, პრესის კრიტიკული ხმა და მისი ქმედითობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რა პირობები შეუქმნა მას ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ. მაგრამ თვით ეფექტიანი ნებაყოფლობითი თანაშემწეობის — მუშაკორესპონდენტების არმიის. რაც უფრო ფართოა რედაქციის აქტივი, მით უფრო დიდია მისი ძალა. რედაქციებს, საგუშაგოები, მასობრივი მუშაობის სხვა ნაცადი ფორმები საგრძნობ შედეგებს გვაძლევს. უფრო ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ სარედაქციო ფოსტას, უფრო ხშირად გამოვიტანოთ იგი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, გავაშუქოთ რადიოსა და ტელევიზიის გამოშვებანი.

პარტიას პრესა მიაჩნია გარდაქმნის აქტიურ მოსაწილედ. ჩვენში არ უნდა იყოს და არც შეიძლება იყოს კრიტიკისათვის დახურული ზონები, არ უნდა იყვნენ მისგან დაცული პირები — დიე, უფროს მეტი ძალით გაიხმოდეს საქმიანი და პრინციპული კრიტიკული სიტყვა, ამოძირკვავდეს ყოველგვარ დაბრკოლებებს ჩვენს გზაზე, ამასთან ხელ

გარდაქმნაშია შენი აღგილი, კომკავშირო

(დასასრული)

ბევრი პრობლემაა სასურსათო პროგრამის რეალიზაციაშიც. აგროსამრეწველო კომპლექსის ბევრ დარგში და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში შრომობენ უპირატესად 50 წელს გადაცილებული ადამიანები. სად არის ამ მონაცვლობა? რა კეთდება ამ ტენდენციის დასაძლევად? საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, მაგალითად, მეცხოველეობა რესპუბლიკის კომკავშირის დამკვრელურ ფრონტად გამოაცხადა. ბოლო ორ წელიწადში დარგში კომკავშირული საგუნრებით გაიგზავნა დაახლოებით ოთხი ათასი კაცი. მაგრამ ორ-სამ თვეში ქალაშვილები და ჭაბუკები იცვლიან პროფესიას. მათი რიცხვი კი არ იზრდება, წლითიწლობით მცირდება.

ბოლო წლებში სოფლად ოჯახების მკვეთრად გაზრდილი მატერიალური შეძლება, სამწუხაროდ, ახალგაზრდობისთვის სტიმული არ გამხდარა. პირიქით, მან გადაადგილია ზოგიერთი სოციალურ-ზნეობრივი ორიენტირი და ბევრს ცხოვრებაში ადვილი გზების ძიებისაკენ უბიძგა. ამ საკითხს რაც შეიძლება დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ მეცნიერებმაც, პარტიულმა, კომკავშირულმა ორგანოებმაც. მით უმეტეს, რომ სუსტი დამკვიდრება დაკავშირებულია იგრეთვე შრომის არასამართლად სრულყოფილ პირობებთან, მატერიალური და მორალური წახალისების მოძველებულ ფორმებთან. უნდა მივაღწიოთ იმას, ხაზგასმით აღინიშნა ყრილობაზე, რომ ყოველ რაიონში, ყოველ მეურნეობაში ჩამოყალიბდეს კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივები, შეუქმნან მათ მუშობის ყველაზე ხელშემწყობი პირობები, მით უმეტეს, რომ დღეს იგროსამრეწველო კომპლექსში არის სამეურნეო ინიციატივისა და თვითმმართველობის განვითარების ყველა საჭირო ორგანიზაციული და სამართლებრივი წანამძღვარი. უფრო აქტიურად უნდა ჩაებას საქმეში თვით სახალგრომრეწვის კომკავშირული ორგანიზაციაც, რომელიც უნდა გადაიქცეს სოფლად კომკავშირული მუშობის თვისებურ მეთოდიურ ცენტრად.

პარტიამ მოითხოვა ძირეულად შეეცვალოთ დამოკიდებულება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი, წარმოების ტექნიკური განახლების საკითხებისადმი. და კომკავშირი მისთვის ჩვეული ენერგიულობით უნდა ჩაებას ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, იაროს კომპლექსური შემოქმედებითი კოლექტივების შექმნის გზით, მიაღწიოს, რომ ყოველი ახალგაზრდა მეცნიერი, მუშა და სპეციალისტი, ყოველი სტუდენტი, მომავალი ინჟინერი აუცილებლად იყოს ჩაბმული ახალი ტექნიკის შექმნისათვის მუშაობაში.

უდიდეს რეზერვებს ვერ ვიყენებთ მეცნიერ ახალგაზრდობასთან მუშაობაში. საქმე იქამდე მიგიდა, რომ ახლა ახალგაზრდებს ვუწოდებთ 40 წლის მეცნიერებს. არც არის გასაკვირი. რესპუბლიკაში 40 წლამდე ასაკის ათ მეცნიერებათა დოქტორსაც კი ვერ იპოვით. ხუთ პროცენტს არ აღემატება 35 წელზე ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატების ხვედრითი წილი. ეს საკითხები მხედველობის არიდან რჩებათ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსაც, მეცნიერებათა აკადემიასაც, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოსაც.

ჩვენ გვაქვს სტუდენტური საკონსტრუქტორო ბიუროების შემოქმედებითი საქმიანობის, უმაღლესი სასწავლებლების კათედრებსა და საპრობლემო ლაბორატორიებში ახალგაზრდობის ნაყოფიერი მუშაობის საინტერესო მაგალითები. და მაინც საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც კი სამეურნეო-სახელშეკრულებო და სახელმწიფო-საბიუჯეტო თემების შესრულებაში მონაწილეობს მხოლოდ ყოველი მესამე სტუდენტი. ხოლო თბილისისა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ეს მაჩვენებელი 10 პროცენტს არ აღემატება. უარესი მდგომარეობაა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროფილის სასწავლებლებში. ამოცანა ის არის, რომ უფრო გარკვევით განვსაზღვროთ ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების, ისევე როგორც უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების როლი მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამებში, გავხადოთ უმაღლესი სასწავლებელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი საკვანძო რგოლი.

სტუდენტი ერთ-ერთი ყველაზე გათნელებული, ინიციატივიანი და შემოქმედებითი რაზმია. და . აქ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დემოკრატიზაცია, თვითმოქმედებისა და თვითმმართველობის განვითარება განსაკუთრებით დამაჯერებლად უნდა ვლინდებოდეს. სულ ნახევარი წელია გრძელდება ექსპერიმენტი ბაგების სტუდქალაქში, შედეგები კი უკვე ნათლად ჩანს. საკითხთა მთელ კომპლექსს სტუდენტთა საბჭო არეგულირებს. შესამჩნევად გაუმჯობესდა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება, რადგან ახლა აქ თვით სტუდენტები არიან დასაქმებული.

ამას წინათ საბურთალოს რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის ბაზაზე შეიქმნა სასწავლო-სამრეწველო საწარმო. რა მოჰყვა ამას? თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტება, საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმისა და კულინარიული სასწავლებლების მოსწავლეები მშვენივრად ორთმევენ თავს კონტროლიორების, მოლარეების, მეკუპონეების მოვალეობას. არადა რამდენს ვებრძოდით წინათ ბაზრის საქმისნებს, გამომძალველებს, ფიზიკოსებსა და ქალაქელი მომხმარებლის მყვლეფელებს, ეფექტს კი მხოლოდ ეპიზოდურს ვაღწევდით. საკმარისი გახდა ისინი სტუდენტებით შეგვეცვალა, თუმცა ამ საქმეს ბევრი მოწინააღმდეგე და ოპონენტი ჰყავდა, — რომ საქმე სხვადასხვარად წარმართულიყო. ეს გვიამედებს, გვაწყმუნებს, რომ კარგი, ზნეობრივად მტკიცე ახალგაზრდობა ჯეგუაკ. რომლისთვისაც უცხოა კერძომესაკუთრული მისწრაფებები. მაშასადამე, მისადმი ნდობა საზოგადოების გარდაქმნისა და გაჯანსაღების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სამწუხაროდ, არის დარგები, ითქვა ყრილობაზე, რომლებსაც ცირფესვიანი განახლება სჭირდება. ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, მაგალითად, ახალგაზრდების სუსტი ფენა არ გვაძლევს საშუალებას სათანადოდ განვამტკიცოთ კომკავშირული ორგანიზაციები, ავამაღლოთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე. ბევრი დამწყები მუშაკი უსინდისო, უპატიოსნო ადამიანების გავლენის ქვეშ ექცევა, შინაგან გადაგვარებას განიცდის. მარტო 1981-1985 წლებში ცეკავშირის სისტემის ახალგაზრდა მუშაკებმა დაიტაცეს და გაფლანგეს დაახლოებით მილიონი მანეთი სახელმწიფო სახსრები, ამასთან მრავალი მთგანი კომკავშირელი იყო. ამიტომ მომსახურების სფეროს კარდინალური გაახალგაზრდავება პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, ხაზგასმით აღინიშნეს ორატორებმა.

ისევე როგორც საკუთრივ სხვა დარგებისაც, კადრების რეზერვთან დაკავშირებით ძმიმე მდგომარეობაა ამიერკავკასიის რკინიგზაზე, სადაც საპენსიო ასაკის ადამიანები ორჯერ მტია, ვიდრე საშუალოდ გზების ქსელში. ასეთივე მდგომარეობაა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში. არადა, ვინ უნდა აითვისოს ახალი ტექნიკა, რომელიც ცვლის ახლანდელ მანქანებს? კომკავშირმა, როგორც ეს იყო 30-იან წლებში, უნდა აკისროს ავიაციისადმი შეფობა.

შრომითი კოლექტივების ჩამოყალიბება და გაახალგაზრდავება ძალზე მნიშვნელოვანი, რთული პროცესია. იგი ყრილობაზე განხილეს სხვა პრობლემებთან კომპლექსით. კერძოდ, საქმე შეეხო ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჰიპერტროფირებულ მასწრაფებას, რადაც უნდა დაუჯდეს მიიღოს უმაღლესი განათლება.

დიახ, იყო დრო, როდესაც ამას ყოველმხრივ ხელს ვუწყობდით, ვინაიდან ეს დაკავშირებული იყო ეკონომიკის, ტექნიკის, ეროვნული კულტურის აღმავლობასთან. მაგრამ დღეს ბევრისათვის დიპლომის მიღება მხოლოდ და მხოლოდ პრესტიჟის საკითხი გახდა, განხდა განსხვავება სპეციალისტების მომზადებასა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს შორის. და, რაც მთავარია, სრულიად არ გვაძაყოფილებს მათი კვალიფიკაციისა და ცოდნის დონე. ეს ეხება ეკონომიკურ, საინჟინრო, ჰუმანიტარულ სპეციალობებსაც. გამოიკვეთა არაჯანსაღი ტენდენციები, როცა მედიკოსობისა და იურისტობის მსურველთა რიცხვი, მაგალითად, 10-15-ჯერ აღემატება საჭიროებას. ისევე დამოკიდებულების მიღმა კი იფარება ბევრი ჩრდილოვანი მოვლენა. ამავე დროს სწორედ ეს პროფესიები განსაზღვრავს ჩვენი საზოგადოების ფიზიკურ და ზნეობრივ სიჯანსაღეს.

უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ხშირია დარღვევები, გაცდენები, საკმარისი არ არის აკადემიური წარმატება, დაბალია ბევრი დისციპლინის სწავლების დონე, არის გამომძალველობისა და პროტექციონიზმის ფაქტები. გაუგებარ სახეს იძენს ჩვენი თანამემამულეების სასწავლებლად რეპუბლიკის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, განსაკუთრებით თუ ეს არიან პირები, რომლებმაც სრულიად არ იციან რუსული ენა. კალინინის, როსტოვისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში გამოვლენილი მეტისმეტად უხეში დარღვევები ცხადყოფს, რომ სრულებით ვერ ვმართავთ ამ პროცესებს. და ძალიან კარგი, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა კონკრეტულად მოჰკიდა ხელი ამ პრობლემის შესწავლას. ალბათ, საჭიროა გამოვიჩინოთ მეტი პრინციპულობა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებისათვის დანასიათებების მიეცემისას. აქ ძალიან ბევრი საკითხი დაგროვდა, და მათი გადადება არ შეიძლება, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ მკაცრ კრიტიკას, რომელსაც შეიცავს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის დადგენილება, რომელმაც შეისწავლა რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების დაყენების საქმე.

დღეს გაუნაწილებელი რჩება უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დაახლოებით 20 პროცენტი. კატასტროფულად იზრდება იმ სპეციალისტთა რაცხვი, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი შრომითი მოწყობით; განსაკუთრებით ქალაქ თბილისში, ამავე დროს ბევრ საწარმოში, ბევრ დარგში აკლიათ მუშები, შრომითი კოლექტივები ივსება მხოლოდ და მხოლოდ სოფლის ახალგაზრდობის ხარჯზე, რის გამოც ცარიელდება ჩვენი სოფლები. ყოველივე ამას შეიძლება დამღუპველი სოციალური შედეგები მოჰყვეს.

რა თქმა უნდა, კვლავაც უნდა წავახალისოთ ახალგაზრდობის ლტოლვა ცოდნისაკენ. მაგრამ ცოდნა და განათლების ცენზი

ვარწმუნებდეთ ცხოვრების ლოგიკით

ახალგაზრდობისადმი ნამდვილი ნდობა შესაძლებელია მხოლოდ მისი მტკიცე შეგნებული ფსიქიპლინის, ღრმა იდეურ-თეორიული მომზადების პირობით, ითქვა ყრილობაზე. ახალგაზრდებისთვის ჩვეული აქტიურობა, ენერგიულობა, ძიების სურვილი სულაც არ ნიშნავს, რომ მათი ზნეობრივი და პოლიტიკური ენერგია თავისთავად წარიმართება საჭირო კალაპოტით. ახალგაზრდობის წრეში დემოკრატიზმისა და თვითმმართველობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული გულმოდგინე იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობასთან, განათლებასთან და თვითგანათლებასთან.

